გამარტივებული შესყიდვის საშუალებით
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ
ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა №ბ/237

წინამდებარე ხელშეკრულება დაიდო 2013 წლის 7 მაისი

ქ.თბილისი რუსთაველის №25

შემსყიდველი: ს.ს.ი.პ თბილისის ზ.ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრი – წარმომადგენელი მმართველის მოვალეობის შემსრულებელი – გიორგი ჟორდანია
საიდენტიფიკაციო კოდი: 203853954; **მისამართი:** ქ.თბილისი, რუსთაველი №25;
საკონტაქტო რეკვიზიტები: E-mail: griboedovi@yahoo.com

საბანკო რეკვიზიტები: ს/ს "კორ სტანდარტ ბანკი" ბანკის კოდი: 220101945
ანგარიში: №GE38KS0000000004176662;

მიმწოდებელი: (შემდეგ აუდიტური კომპანია ან კომპანია):
შპს "მილენიუმ აუდიტ კონსალტინგი" - საიდენტიფიკაციო კოდი: 404861869
წარმომადგენელი – დირექტორი თამაზ აბულაძე
იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი ნუცუბიძის ქ №10

საბანკო რეკვიზიტები: ს/ს ,,თიბისი ბანკი" ბანკის კოდი: TBCBGE22
ანგარიში: № GE71TB7985136080100001

ერთის მხრივ, **"შემსყიდველი"** და მეორეს მხრივ, **"მიმოწდებელი"** ადასტურებენ, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის, "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად მათ შორის მიღწეულია შეთანხმება შემდეგზე:

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი, საფუძველი და მიწოდების წესი

1.1 მიმწოდებელი (აუდიტური კომპანია) ვალდებულია ხელშეკრულების პირობებისა და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად შემსყიდველს გაუწიოს მომსახურება - **CPV – 79212000** – "აუდიტორული მომსახურება", კერძოდ: „ქონების შეფასება"(დეკორაციები), სპექტაკლი-- „ამაო სიფრთხილე".

1.2 შემსყიდველი ვალდებულია შემსყიდველის მიერ მოწოდებული მასალების მიხედვით მოახდინოს ქონების შეფასება და აუდიტორული დასკვნა შემსყიდველს მიაწოდოს **ქ.თბილისი რუსთაველის №25-ში, არაუგვიანეს 2013 წლის 15 მაისამდე;**

1.3 მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველის ქონების შეფასება განახორციელოს დადგენილი სტანდარებისა და ნორმების შესაბამისად;

1.4 აუდიტორული მომსახურების გაწევა დასტურდება აუდიტორული დასკვნისა და მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებით, რომლებსაც ხელს აწერენ ხელშეკრულების მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლები;

მუხლი 2. ხელშეკრულების ღირებულება და საფასურის გადახდის წესი

2.1 ამ ხელშეკრულების პირველ მუხლში აღნიშნული მომსახურების ღირებულება – საფასური (ხელშეკულების მთლიანი ღირებულება) შეადგენს 4100 ლარს (ოთხი ათას ასი ლარი);

2.2 მომსახურების ფასში და ხელშეკრულების მთლიან ღირებულებაში გათვალიწინებულია მიმწოდებლის ყველა ხარჯი, მათ შორის, კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი გადასახადები.

2.3 შემსყიდველი ვალდებულია კომპანიის მიერ გაწეული მომსახურების საფასური, კერძოდ: 2.1 პუნქტით განსაზღვრული თანხა გადაიხადოს მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების თარიღიდან არაუგვიანეს 6 სამუშაო დღის განმავლობაში, ეროვნულ ვალუტაში – ლარში, უნაღდო ანგარიშსწორების საშუალებით;

მუხლი 3. მხარეთა უფლება-ვალდებულებები

3.1 კომპანია ვალდებულია დაიცვას მომსახურების გაწევის პროცესში მიღებული დამკვეთის კონფიდენციალური ინფორმაცია და არ დაუშვას ამ ინფორმაციის მესამე პირებისათვის გადაცემა;

3.2 აუდიტორი უფლებამოსლია აუდიტთან დაკავშირებით – აუდიტის საგანზე მოითხოვოს და მიიღოს შესაბამისი ახსნა-განმარტებები, ყველა საჭირო დოკუმენტები და ინფორმაცია.

3.3 აუდიტური კომპანია უფლებამოსილია საჭიროების შემთხვევაში მოიწვოს სხვადასხვა პროფილის სპეციალისტები;

3.4 კომპანია უფლებამოსილია დამკვეთს მოთხოვოს გაწეული მომსახურების საფასურის გადახდა იმ ოდენობითა და იმ პერიოდულობით, როგორც განსაზღვრულია ამ ხელშეკრულების შესაბამისი მუხლით;

3.5 აუდიტური კომპანია (აუდიტორი) ვალდებულია აუდიტის პროცესში დაიცვას საქართველოს მოქმედი კანონმდებლობა, საქართველოში მოქმედი აუდიტორული სტანდარტები, აუდიტორის ეთიკის კოდექსის მოთხოვნები და შესაბამისი ნორმატიული აქტები;

3.6 შემსყიდველი ორგანიზაციის ხელმძღვანელები ვალდებულები არიან:

3.6.1 აუდიტორს (აუდიტორ კომპანიას) გადაცეს აუდიტის ჩასატარებლად საჭირო ყველა დოკუმენტი, აუდიტორის მოთხოვნისთანავე აუდიტის საგანთან დაკავშირებით მისცეს ახსნა-განმარტება (ზეპირი ან/და წერილობით ფორმით), აუდიროს შეუქმნან აუდიტის ჩატარებისათვის საჭირო პირობები;

3.6.2 ოპერატიულად აღმოფხვრან აუდიტორული შემოწმებით გამოვლენილი ნაკლოვანებები;

მუხლი 4. მხარეთა პასუხისმგებლობა

4.1 ორგანიზაციის ქონების შეფასებისთვის საჭირო მასალების მიწოდებაზე პასუხისმგებლობა ეკისრება შემსყიდველ ორგანიზაციას (ორგანიზაციის ხელმძღვანელს);

4.2 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შედეგად მიყენებული ზარალისათვის მხარეები ერთმანეთის წინაშე პასუხს აგებენ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

4.3 შემსყიდველი უფლებამოსილია მომსახურების მიწოდების ვადის გადაცილების შემთხვევაში მიმწოდებელს დააკისროს საურავი ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე დროულად მიუწოდებელი "მომსახურების" ღირებულების **0,2** %-ის ოდენობით, ხოლო მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად შეუსრულებლობის შემთხვევაში – ხელშეკრულების ღირებულების **3%-ის** ოდენობით;

მუხლი 5. ფორს-მაჟორი

5.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობად არ ჩაითვლება, თუ მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოებების შედეგი;

5.2 ამ მუხლის ფარგლებში "ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არის დაკავშირებული შემსრულებელისა და დამკვეთის შეცდომებსა და/ან დაუდევრობასთან, რომელთა გათვალისწინებაც შეუძლებელი იქნებოდა წინასწარ. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და/ან სხვა.

მუხლი 6. სხვა პირობები

6.1 ხელშეკრულება ძალაშია 2013 წლის 7 მაისიდან 2013 წლის 30 მაისამდე პერიოდში;

6.2 ხელშეკრულებაში დამატებების და/ან ცვლილებების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით;

6.3 ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილ შემთხვევაში;

6.4 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

6.5 მხარეები უფლებამოსილები არიან შეწყვიტონ ეს ხელშეკრულება ცალმხრივად, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავისი ვალდებულებების ჯეროვან შესრულებას ან სხვა მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევაში.

6.6 ხელშეკრულება შედგენილია 2 (ორ) იდენტურ ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ინახება შემსყიდველთან , ხოლო მეორე მიმწოდებელთან.

"მიმწოდებელი"	"შემსყიდველი"
შპს "მილენიუმ აუდიტ კონსალტინგი"	ს.ს.ი.პ "თბილისის ზ.ფალიაშვილის სახელმობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრი"
წარმომადგენელი - დირექტორი	წარმომადგენელი მმართველის მოვალეობის შემსრულებელი
თამაზ აბულაძე	გიორგი ჟორდანია
ხელმოწერა: ----------------------------	ხელმოწერა: ----------------------------